ოქტომბერი 2018 №11

ქართული ჯარი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ – ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

პარტნიორები ჩვენს რეფორმებს სამაგალითოდ აფასებენ

ინტერვიუ, საქართველოს თავდაცვის მინისტრ, ლევან იზორიასთან

*„თანამედროვე გამოწვევების დონე ეს აღარ ეხება მოვლენების გადაჭრას და აღარ ვიყავ ჟურნალისტი. ალბერტ ალერონი ჩვენი ალბანელი მფარველი ხან ტროიკაზეა ან ტროიკაზეა ავადმყოფობის შესახებ ალბანეთ-ს ალბერტიანთ თავმჯდომარის ვაძლიერებთ ალბანეთ-ს ალბერტიანთ ალბანეთ-ს ალბერტიანთ ალბანეთ-ს ალბერტიან

პარტნიორები ჩვენს რეფორმებს სამაგალითოდ აფასებენ

ინტერვიუ, საქართველოს თავდაცვის მინისტრ, ლევან იზორიასთან

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში უახლოეს პერიოდში ბევრი რეფორმა განხორციელდა. სამინისტრომ დაიწყო ტოტალური თავდაცვის კონცეფციის განხორციელება. ტოტალური თავდაცვის კონცეფციასა და თავდაცვის სამინისტროში დღეს მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ **ლევან იზორიას** ვესაუბრეთ.

ბატონო მინისტრო, თქვენი მინისტრობის პერიოდში თავდაცვის სამინისტრომ ტოტალური თავდაცვის კონცეფცია შეიმუშავა. რა ინიციატივები განხორციელდა ამ მიმართულებით?

ჩვენ შევიმუშავეთ ახალი პოლიტიკა, რომელიც სტრატეგიულ მზადყოფნას გულისხმობს. თანამედროვე გამოწვევების ფონზე არ უნდა დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და უნდა ვიყოთ პრაქტიკულები. სამხედრო სფეროში ჩვენი სტრატეგიული მზადყოფნის მიზანი სწორედ რომ ტერიტორიული თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება და ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობის გაძლიერებაა, რათა საქართველო გამუდმებით მზად იყოს ნატოში გაწევრიანებისთვის.

საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა შეკავებისა და თავდაცვის პრინციპებს ეფუძნება, რომლის უზრუნველყოფა დამოკიდებულია სახელმწიფოს მდგრადობაზე, რაც გულისხმობს ქვეყნის უნარს დროულად გაუმკლავდეს კრიზისულ ვითარებას და შეინარჩუნოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციებისა და სერვისების უწყვეტობა. შესაბამისად, შეკავების და ქვეყნის თავდაცვის წარმატებით დამოკიდებულია ტოტალური თავდაცვის სისტემის შექმნასა და საერთაშირისო თანამშრომლობის გაძლიერებაზე.

სწორედ, რომ აღნიშნულის განსახორციელებლად თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაციის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში მიმდინარეობს ეროვნული თავდაცვის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომლის დასრულება 2019 წლის პირველ კვარტალში იგეგმება.

„ეროვნული თავდაცვის სტრატეგია 2020-2030“ წარმოადგენს ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტს, რომელიც წინამორბედი დოკუმენტებისგან განსხვავებით ტოტალური თავდაცვის პრინციპის საფუძველზე განსაზღვრავს სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზებაში ჩართული უწყებების ამოცანებს.

ტოტალური თავდაცვის სისტემის შექმნით მოხდება პასუხისგებლობებისა და მოვალეობის გადანაწილება თავდაცვის ძალებს, სახელმწიფო უწყებებსა და მოსახლეობას შორის, რაც თავდაცვის სისტემას დაეხმარება საკუთარ ამოცანებზე კონცენტრაციასა და ძალების ეფექტიან გადანაწილებაში. აღნიშნული მნიშვნელოვნად აამაღლებს ჩვენს მზადყოფნას.

ამ მიმართულებით მართლაც, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივები და რეფორმები განვახორციელეთ.

საუბარს დავიწყებ ჩვენთვის ისტორიული და ყველაზე ამბიციური - საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის (GDRP) პროგრამით, რომელიც წარმოადგენს ორი კომპონენტის ერთობლიობას: **მზადყოფნის პროგრამა წვრთნა (GDRP-T) და მზადყოფნის პროგრამა - ინსტიტუციური განვითარება (GDRP-I)**. შესაბამისად პროგრამა მთლიანობაში, უზრუნველყოფს არა მხოლოდ ტაქტიკური დონის ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას, არამედ დაკომპლექტების, წვრთნის, აღჭურვის და ძალების შენარჩუნების მდგრადი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას.

2017 წლის დასაწყისში ჩვენ დავიწყეთ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ინსტიტუციური კომპონენტის განხორციელება, ხოლო 2018 წლის მაისში - საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის 3-წლიანი წვრთნების ნაწილი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით ჯამში 9 ბატალიონი დაკომპლექტდება, აღიჭურვება და გაიწვრთნება, რის შედეგადაც თვისობრივად ამაღლდება საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები და მოხდება ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის კიდევ უფრო გაღრმავება. პირველმა (43-ე) ბატალიონმა უმაღლესი შეფასებით გაიარა 4 თვიანი წვრთნა.

ასევე, მნიშვნელოვანი კომპონენტი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სტრატეგიული მზადყოფნის მიღწევისათვის არის შეიარაღებული ძალების თანამედროვე შეიარაღებითა და სისტემებით აღჭურვა.

ჩვენი რეფორმების შედეგად სრულად დავაკმაყოფილეთ ნატოს სტანდარტი და დღეს თავდაცვის ბიუჯეტიდან პერსონალზე დანახარჯები 53 %-ს შეადგენს; ძირითად შეიარაღებაზე გამოყოფილმა დანახარჯებმა საერთო თავდაცვის ბიუჯეტის 20 %-ს გადააჭარბა.

მოგეხსენებათ, რომ გადავდივართ გრძელვადიან დაგეგმვაზე. ეროვნული თავდაცვის სტრატეგია იქნება 10-წლიანი. ამავდროულად, ჩვენ უკვე შევიმუშავეთ შესყიდვების გრძელვადიანი სტრატეგია, სადაც განსაზღვრულია შეიარაღების სისტემების შესყიდვების ძირითადი მიმართულებები 2019-2025 წლების თავდაცვის მოდერნიზაციის პროცესში.

ჩვენი აქცენტები გაკეთდა ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღების შეძენაზე. ისევე როგორც საინჟინრო, საარტილერიო და სადაზვერვო მიმართულებების განვითარებაზე, ასევე, ავიაციის განახლებაზე. სწორედ ამიტომ 2018 წელს ამერიკის შეერთებული შტატებისგან მოხდა ტანკსაწინააღმდეგო საშუალების „ჯაველინის“ შეძენა. ასევე მიმდინარეობს საფრანგეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ **წარმოებული ანტისაჰაერო სამხედრო აღჭურვილობის დანერგვა** საქართველოს შეიარაღებულ ძალებში; მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით ავიაციის განვითარების კუთხით.

როგორც უკვე გითხარით, ტოტალური თავდაცვა თავისი შინაარსით ძალიან ბევრ ასპექტს მოიცავს. დავიწყეთ რეზერვის საპილოტე პროექტის განხორციელება, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი უნდა შეიტანოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაში. მნიშვნელოვან ყურადღებას ვუთმობთ ჰიბრიდულ საფრთხეებს და მათზე რეაგირების გზებს.

ბატონო მინისტრო, თქვენ ახსენეთ რეზერვისა და მობილიზაციის ახალი პროგრამის დაწყება, რა ეტაპზეა აღნიშნული პროგრამა და როგორ შეაფასებთ პროგრამის სტარტს?

თქვენ იცით, რომ 2018 წლის პირველი აგვისტოდან დაიწყო რეზერვის საპილოტე პროგრამაში მონაწილე პირების განაცხადების მიღება სამ რეგიონში - გურიის, აჭარისა და კახეთის რეგიონებში, ასევე სპეციალისტთა რეზერვში.

პროგრამის ფარგლებში ტერიტორიულ რეზერვში მივიღეთ 228 რეზერვისტი, ხოლო სპეციალისტთა რეზერვში 8 სპეციალისტი.

ოქტომბრის თვეში ადლიისა და თელავის ბაზებზე პირველი ნაკადის მომზადება დაიწყო. პროგრამა აუცილებლად გაგრძელდება. 2018 წელს შევქმენით საკოორდინაციო ჯგუფი, რომელსაც რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით ათწლიანი სტრატეგიის შემუშავება დაევალა.

აღნიშნული პროგრამა ეფუძნება წარმატებული, ნატოს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების გამოცდილებას, თუმცა სრულად არის მორგებული ჩვენი ქვეყნის რეალობასა და საჭიროებებს.

ბატონო მინისტრო, თქვენ ახსენეთ თანამედროვე მსოფლიოში არსებული ჰიბრიდული გამოწვევები. რუსეთის ფედერაცია დღეს აქტიურად იყენებს ჰიბრიდულ მეთოდებს, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებაში. რა ღონისძიებებს ატარებს თავდაცვის სამინისტრო ამ მიმართულებით?

თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ ჰიბრიდული გამოწვევები მართლაც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზრუნავს, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისთვისაც. ნატოს ქვეყნები სწორედ მდგრადობის განვითარებით ცდილობენ მოახდინონ აღნიშნული საფრთხეების პრევენცია. ტოტალური თავდაცვის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა ქვეყნებისთვის, რადგან ტოტალური თავდაცვა სწორედ ჰიბრიდული საფრთხეების განეიტრალებისკენ არის მიმართული.

ჩვენ ამ გზაზე, მზადყოფნის გაძლიერებასთან ერთად, დიდ ყურადღებას ვუთმობთ სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის გაძლიერებას, რადგან ქვეყნის დაცვა არა მხოლოდ სამხედროების, არამედ საზოგადოების ვალია.

სწორედ ამიტომ, საზოგადოებასთან უფრო აქტიური კომუნიკაციის მიზნით, მიმდინარეობს ისეთი პროექტების განხორციელება, როგორიც არის საზოგადოებრივ საქმეთა ოფიცრების ინსტიტუტის დანერგვა შეიარაღებულ ძალებში, საკომუნიკაციო არხების განვითარება და ეთნიკურ უმცირესობებთან აქტიური კომუნიკაცია. ამ მიზნით უწყებრივ გაზეთს უკვე სამ ენაზე გამოვცემთ.

განგრძობითი პერიოდულობით ვატარებთ სწავლებას „ღირსეული პასუხი“, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაკავშირებით ჟურნალისტების ინფორმირებულობაა.

განსაკუთრებულად გამოვყოფდი მიმდინარე სწავლებებში (ინფო, დიდგორი) ჰიბრიდულ კომპონენტზე აქცენტირებას. 2018 წლის „დიდგორის“ სწავლებაში იგეგმება სტრატეგიული დონის პირების ჩართულობა, რაც ხელს შეუწყობს უწყებათაშორისი კოორდინაციის ამაღლებასა და ეროვნული თავდაცვის გეგმების განხორციელებას.

ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავების თვალსაზრისით, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული მიმართულებაა კიბერუსაფრთხოება. თქვენ იცით, რომ ჩემი გადაწყვეტილებით შეიარაღებულ ძალებში 2019 წელი კიბერუსაფრთხოების წლად ცხადდება, რაც ნიშნავს უფრო მეტ აქტიურ ჩართულობას სამხედრო ოპერაციებში და მეტ კიბერმოქმედებას საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. ეს მკაფიოდ მიუთითებს თუ რამდენად პრიორიტეტულია აღნიშნული მიმართულება ჩვენთვის.

ბოლო პერიოდში პარტნიორების მხრიდან უდიდესი მხარჭერა ფიქსირდება. ამის დასტურია საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის გამოგზავნილი აშშ-ს თავდაცვის მდივნის ბატონ მატისის წერილი. ამ მხარდაჭერის ფონზე, ნატოსთან თავსებადობის ზრდის მიმართულებით რა ნაბიჯები იდგმება და უნდა ველოდოთ თუ არა რაიმე სიახლეს?

საქართველომ ნატოსთან თავსებადობის კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, რომელიც ჩვენი პარტნიორების მხრიდან განსაკუთრებულად პოზიტიურად არის შეფასებული.

რამდენიმე დღის წინ მქონდა შეხვედრა ჩვენი მთავარი სტრატეგიული

პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანთან, ბატონ მატისთან, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტები სამაგალითოდ მიიჩნია არა მარტო ნატოს პარტნიორი, არამედ ნატოს წევრი სახელმწიფოებისთვისაც კი. თქვენ სწორად ახსენეთ ბატონი მატისის წერილი ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრისათვის, სადაც მან უდიდესი მხარდაჭერა გამოუცხადა ჩვენს რეფორმებს და ხაზგასმით აღნიშნა მიღწეული - ნატოს სტანდარტების შესაბამისად - თავდაცვაზე გამოყოფილი მთლიანი შიდა პროდუქტის 2 % და თავდაცვის ხარჯებში, შეიარაღების 20 %-ის შენარჩუნების მნიშვნელობა.

ამასთანავე, ოქტომბერში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს მზადყოფნის ცენტრის შექმნის შესახებ ინიციატივა გააჟღერა.

აღნიშნული მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მოკავშირე ქვეყნებისა და პარტნიორი სახელმწიფოებისთვისაც. საქართველოს ექნება შესაძლებლობა შესთავაზოს თავისი საწვრთნელი შესაძლებლობები ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ აღნიშნული მიმართულებით საწყისი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ა.წ. ოქტომბერი - დეკემბრის პერიოდში საბრძოლო მომზადების ცენტრი (პირველად ისტორიაში) აშშ-ის პირველი ჯავშანსატანკო ბრიგადის საბრძოლო ჯგუფის ასეულს უმასპინძლებს, რომელიც გამოიყენებს ჩვენს საწვრთნელ ინფრასტრუქტურას გაერთიანებული ტრეინინგის ჩასატარებლად და საკუთარი მზადყოფნის გეგმის შესასრულებლად. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა 2019 წლის დასაწყისში, აშშ-ის საზღვაო ქვეითი ძალების ხსენებული ინიციატივის ფარგლებში მასპინძლობის თაობაზე.

საბრძოლო მომზადების ცენტრის ინიციატივა შესაბამისობაშია ნატოს ახალი შეკავების პოლიტიკასთან, რაც მაღალ საბრძოლო მზადყოფნას უზრუნველყოფს. ჩვენ ნატოსთან თანამშრომლობის თვალსაზრისით წარმატებით ვახორციელებთ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ინიციატივებს და 2018 წელს რამდენიმე ინიციატივის დასრულებაც იგეგმება.

აშშ-ის განსაკუთრებულ მხარდაჭერაზე მიუთითებს, რომ წელს საქართველომ აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსების (FMF) ფარგლებში უპრეცედენტოდ მაღალი თანხა - 41 მილიონი აშშ დოლარი მიიღო. საგარეო სამხედრო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი თანხები სრულად არის გადანაწილებული წვრთნებისა და აღჭურვის პროგრამებზე და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებას ხმარდება;

მინდა ხაზი გავუსვა უპრეცედენტოდ გაზრდილ საერთაშორისო სწავლებებს. მსგავსი დინამიკა მკაფიო დასტურია იმ უდიდესი მხარდაჭერის, რასაც ნატოს ქვეყნები საქართველოს მიმართ იჩენენ. თქვენ იცით, რომ 2019 წლის მარტში უკვე მეორედ გაიმართება ნატო-საქართველოს ერთობლივი სწავლება, რომელიც ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის ხელმძღვანელობით წარიმართება. მსგავსი უპრეცედენტო დინამიკა კიდევ უფრო გვაახლოებს ნატოსთან და ზრდის ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხილვადობას საქართველოში.

ამასთანავე, მინდა ხაგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი რეფორმების აღნიშნულ დინამიკას და შევასრულებთ ნატოსა და პარტნიორების მიმართ აღებულ ყველა ვალდებულებას. ჩვენ ასევე აქტიურად განვაგრძობთ ჩვენს კონტრიბუციას მსოფლიოს მშვიდობაში და საქართველო ავღანეთში დარჩება ზუსტად იმ კონტრიბუციითა და ვალდებულებებით, რაც ჩვენი პარტნიორების წინაშე გვაქვს აღებული.

თქვენ ხშირად ახსენებთ, რომ თავდაცვის სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია ჯარისკაცებზე ზრუნვა. სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებებით რა ნაბიჯები გადაიდგა?

სწორად აღნიშნეთ, სამხედროთა მხარდაჭერა არის ჩვენი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. სოციალური, სამედიცინო თუ ფინანსური დახმარების კუთხით სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობს მხარდაჭერა აღმოუჩინოს სამხედროებსა და მათი ოჯახის წევრებს, რომელთაც ჩვენი თანადგომა სჭირდებათ. მხოლოდ 2016 წელს მინისტრის ინდაქტით დახმარება გაეწია 386 სამხედრო მოსამსახურეს 732 ათას 482 ლარის ოდენობით, ხოლო 2017 წელს 515 სამხედრო მოსამსახურეს 732 ათას 645 ლარის ოდენობით, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური, სამედიცინო და ფინანსური კორესპონდენციის განმხილველი კომისიის მიერ 2016 წელს დახმარება გაეწია 241 სამხედრო მოსამსახურეს 1 მილიონ 477 ათას 175 ლარის მოცულობით, ხოლო 2017 წელს ამავე კომისიის მიერ 236 სამხედრო მოსამსახურეს 972 ათას 647 ლარის ოდენობით.

წელს წეროვანში, მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო ცენტრის ტერიტორიაზე ახალი შენობის მშენებლობასაც ჩაეყარა საფუძველი. დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მრავალპროფილური სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობას ამერიკული მხარის მხარდაჭერით ვახორციელებთ.

ახლახან გავხსენით აგრეთვე ქალაქ ქუთაისში ჰოსპიტალის ახალი შენობაც, რომლის რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე 4 მილიონ ლაზე მეტი დაიხარჯა.

სამხედრო მოსამსახურეთა მოტივაციის ამაღლებისა და ანაზღაურების პირობების გაუმჯობესების მიზნით, გამოვნახეთ რესურსები და პირველ ეტაპზე წავახალისეთ „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში“ ჩართული ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეები, რომელთაც დაუწესდათ ყოველთვიური დანამატები 100-დან 510 ლარამდე; მოგეხსენებათ, რომ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) ცენტრის სამხედრო მოსამსახურეებს (ინსტრუქტორებს) დაუწესდათ ყოველთვიური დანამატები 75-დან 485 ლარამდე.

ყველასთვის საინტერესოა ბინების გადაცემის საკითხი, რომელშიც აგრეთვე დიდი პროგრესი გვაქვს. როგორც იცით ბინების გადაცემის პროცესი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2013 წლიდან დაიწყო. 2013 წლიდან დღემდე ბინით 1634 ოჯახი დააკმაყოფილა. 2018 წლის ბოლომდე უწყების ბალანსზე არსებული საცხოვრებელი ფართებით 100-მდე ოჯახის ბინით უზრუნველყოფა მოხდება, ხოლო 2019 წელს პროცესი გაგრძელდება და დამატებით 200-მდე ოჯახი დაკმაყოფილდება.

არსებული რესურსების გათვალისწინებით ჩვენ კვლავ აქტიურად ვაგრძელებთ, სამხედრო მოსამსახურეებზე ზრუნვას და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობას.

პენტაგონი საქართველოს ხელისუფლებას თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმების გამო მადლობას უხდის

ლევან იზორიას მიერ თავდაცვის სფეროში განხორციელებული წარმატებული რეფორმების გამო პენტაგონის ხელმძღვანელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხდა. წერილს უცვლელად გთავაზობთ:

მის აღმატებულებას,
საქართველოს პრემიერ-მინისტრ
მამუკა ბახტაძეს

ძვირფასო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

გწერთ, რომ აღვნიშნო საქართველოს თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას გონივრული და მტკიცე ხელმძღვანელობა და მსურს, მადლობა გადაგიხადოთ თავდაცვის რეფორმებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ თქვენი ერთგულებისთვის.

წინა თვეს ბრიუსელში, ნატოს თავდაცვის მინისტერიალზე მინისტრ იზორიას და მის პირველ მოადგილეს ლელა ჩიქოვანს შევხვდი. შთამბეჭდავი და დამაჯერებელი იყო მინისტრ იზორიას სიღრმისეული ცოდნა ჩვენს ქვეყნებს შორის უსაფრთხოების სფეროში არსებულ ორმხრივ თანამშრომლობაზე და თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის ჩიქოვანის მიერ თავდაცვის პრიორიტეტებზე გაკეთებული დეტალური ანგარიში.
უნდა აღვნიშნო, რომ თავდაცვის სამინისტროსადმი თქვენი მხარდაჭერა უზრუნველყოფს თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტის ხარჯვას და თავდაცვის ხარჯების 20 პროცენტის ძირითადი შეიარაღების შესყიდვებზე მიმართვას, რაც ნატოს სტანდარტებს სრულად შეესაბამება. თავდაცვის რეფორმისა და ხარჯვის პრიორიტეტიზაცია ნათლად წარმოაჩენს მინისტრ იზორიას ძალისხმევას საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნისა და მოდერნიზაციის საქმეში. მან 15 პროცენტით თანმიმდევრულად შეამცირა ხარჯი პერსონალზე, რაც საქართველოს შესაძლებლობებში ინვესტირების მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ბოლოს, მსურს ჩემი ღრმა მადლიერება გამოვხატო საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის ავღანეთში, ნატოს ეგიდით წარმოებულ მისიებში. როგორც ნატოს მინისტერიალზე განვაცხადე, საქართველომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო, ის იბრძვის ნატოსა და ავღანური ძალების მხარდამხარ ავღანეთის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო პროვინციებში. ჩვენი ალიანსი ეყრდნობა მამაცი პარტნიორების მზადყოფნას, წვლილი შეიტანოს უსაფრთხოების საერთო ინტერესებში და უზრუნველყონ სტაბილურობა მსოფლიოში. საქართველომ დაამტკიცა, რომ ის არის ნატოს ყველაზე ერთგული და საიმედო პარტნიორი.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი ხელმძღვანელობისა და ერთგულებისთვის. მზად ვარ კიდევ უფრო განვამტკიცო ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა.

პატივისცემით,
ჯეიმს მატისი



SECRETARY OF DEFENSE
1000 DEFENSE PENTAGON
WASHINGTON, DC 20301-1000

10/25/2018

His Excellency Mamuka Bakhtadze
Prime Minister
Georgia
Tbilisi

Dear Mr. Prime Minister,

I write to commend Minister of Defense Levan Izoria's astute and fearless leadership and express my gratitude for your commitment to defense reform and investment in Georgia's armed forces.

I met with Minister Izoria and First Deputy Defense Minister Lela Chikovani at our NATO Defense Ministerial in Brussels earlier this month. Minister Izoria's detailed knowledge of our bilateral security cooperation efforts and Minister Chikovani's clear articulation of Georgia's defense priorities were both impressive and reassuring.

I must also note that your support for the Defense Ministry enables Georgia to spend 2 percent of national Gross Domestic Product on defense and 20 percent of defense spending on major equipment purchases, in line with NATO standards. Prioritizing defense reform and spending illustrates Minister Izoria's dedication to the readiness and modernization of Georgia's armed forces. He has simultaneously reduced personnel costs by 15 percent, an essential step to ensure Georgia's capability investments are sustainable.

Finally, I offer my deepest gratitude for Georgia's long-standing support for NATO's mission in Afghanistan. As I recently commented at the NATO Ministerial, Georgia has endured tremendous sacrifices, fighting shoulder-to-shoulder with NATO and Afghan forces, without caveat, in some of the most dangerous provinces in the country. Our alliance depends on courageous, willing, resilient partners to share the burden of our mutual security interests and project stability around the globe. Georgia has proven itself one of NATO's most steadfast partners.

Thank you once again for your leadership and commitment. I remain committed to strengthening even further our strategic relationship.

Sincerely,

ნატო-საქართველოს კომისია

ნატოს ბრიუსელის სამიტიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 3 ოქტომბერს, მოკავშირეებმა თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში ნატო-საქართველოს კომისია მოიწვიეს. აღნიშნული ღონისძიება, როგორც საქართველოსა და ნატოს შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის, ისე ამ თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარების გზების განხილვის შესაძლებლობას წარმოადგენდა. შეხვედრის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ალიანსს თავდაცვის სფეროში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი გააცნო და კიდევ ერთხელ დაადასტურა საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველოს ურყევი ძალისხმევა. საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სიძლიერის ნაწილია, რადგან ნატო-ს და პარტნიორი ქვეყნების ძალისხმევა საერთაშორისო უსაფრთხოების განსამტკიცებლად კვლავაც გრძელდება.

ნატო-საქართველოს კომისიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი ავღანეთში, ნატო-ს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო მისიაში, საქართველოს მონაწილეობა ნატო-ს საპასუხო ძალებში და ასევე, ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო მისიებში. საქართველო განხილული იქნა, როგორც ნატო-ს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყანა, როგორც შავი ზღვის რეგიონში, ისე ფართო საერთაშორისო ასპარეზზე. მოკავშირეები მიესალმნენ საქართველოს, როგორც ნატოს საიმედო პარტნიორის ქვეყნის მნიშვნელოვან პროგრესს რეფორმების იმპლენეტაციის კუთხით. ნატო-საქართველოს კომისიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და ხაზი გაუსვა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის განვითარების ხელშეწყობის გაგრძელების აუცილებლობას, უფრო მეტად დაცული საქართველოსთვის და სტაბილური შავი ზღვის რეგიონისთვის. აღნიშნულ რეგიონში რუსეთის სამხედრო გააქტიურება კომისიამ განიხილა როგორც შეშფოთების მიზეზი და შავი ზღვის უსაფრთხოება მიიჩნია პრიორიტეტად, როგორც ნატოსთვის, ისე საქართველოსთვის. ამ მხრივ, მოკავშირეებმა მნიშვნელოვნად შეაფასეს საზღვაო უსაფრთხოების სფეროში ნატო-სა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა.

მინისტრმა იზორიამ ყურადღება გააამახვილა თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმების კუთხით საქართველოს მიღწევებზე, მათ შორის, ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაზე. ამ კუთხით საქართველო თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის 2% ხარჯავს, ხოლო თავდაცვის ბიუჯეტის 20%-ს მნიშვნელოვანი სისტემების შესყიდვაზე. აღნიშნულ იქნა, რომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) იმპლემენტაცია საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისთვის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს. SNGP, რომელიც საქართველომ ნატოს 2014 წლის უელსის სამიტზე მიიღო, ალიანსთან საქართველოს პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმს წარმოადგენს. ამ მიმართულებით მიღწეული წარმატება აღიარებული იქნა 2018 წლის ივნისში, SNGP-ს კონფერენციის დროს, სადაც ნატო-სა და საქართველოს მიერ პაკეტი მიჩნეულ იქნა ნატო-ს თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის სამაგალითო მოდელად. ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე, მოკავშირეები მიესალმნენ SNGP-ის ფარგლებში მიღწეულ პროგრესს და ყურადღება ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრზე (JTEC),როგორც პაკეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინიციატივაზე გაამახვილეს.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ბრწყინვალე შესაძლებლობა იყო ნატოსა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის განსახილველად და იმ ძალისხმევის გასაძლიერებლად, რომელიც მუდმივად ცვალებადი უსაფრთხოების გარემოს ფონზე, არსებული პარტნიორობის განმტკიცებას ემსახურება. შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ნატო-საქართველოს პარტნიორობა „ნაყოფიერია როგორც ნატო-სთვის, ისე საქართველოსთვის. ის გულისხმობს ერთმანეთის დაცვას და ერთმანეთის მხარდაჭერას. ის გულისხმობს ერთმანეთის დახმარებას, ერთმანეთისაგან სწავლას და საერთო უსაფრთხოების გამოწვევებთან ერთობლივ გამკლავებას“. ასეთი სიტყვების ფონზე, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ძლიერი პარტნიორობის, ერთობლივი ძალისხმევის და მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ურყევი ნების მორიგ დასტურს წარმოადგენდა.

რეზერვისა და მობილიზაციის ახალი სისტემით რეზერვისტების მომზადების პროცესი დაიწყო

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აქტიური რეზერვის საპილოტე პროგრამა დაიწყო. პირველ ეტაპზე ტერიტორიულ რეზერვში მონაწილეობის მიღება სამი რეგიონის - აჭარის, გურიისა და კახეთის მოსახლეობას შეეძლო. ადგილები, საპილოტე პროგრამიდან გამომდინარე, შეზღუდული იყო. პირველ ეტაპზე ტერიტორიულ რეზერვში მიღებულ იქნა მხოლოდ 328 რეზერვისტი, ხოლო სპეციალისტთა რეზერვში რვა.

2018 წლის 16 ოქტომბერს რეზერვისა და მობილიზაციის ახალი სისტემით რეზერვისტების მომზადების პროცესი დაიწყო. ახალი კანონმდებლობით შექმნილია ორი ტიპის რეზერვი: აქტიური და სამობილიზაციო. აქტიური სარეზერვო სამსახური ნებაყოფლობითი და ანაზღაურებადია, რომელიც სამ ნაწილად იყოფა: შეიარაღებული ძალების რეზერვი, ტერიტორიული რეზერვი, სპეციალისტთა რეზერვი.

რეზერვისა და მობილიზაციის ახალი სისტემა იმ დიდი თემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რასაც ტოტალური თავდაცვის კონცეფცია წარმოადგენს. ტოტალური თავდაცვა მოიცავს არა მხოლოდ სამხედრო მზადყოფნის გაძლიერების კომპონენტს, არამედ სხვა კომპონენტებსაც, როგორიც არის საზოგადოების მეტი ჩართულობა, სამოქალაქო თავდაცვის მეტი კომპონენტი. რეზერვისა და მობილიზაციის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რომელიც ტოტალურ თავდაცვაში საქართველოს მოქალაქეების ფართო ჩართულობისა და სამობილიზაციო რესურსის ოპტიმალურად გამოყენებას უზრუნველყოფს.

ამ ეტაპზე, საპილოტე პროექტის ფარგლებში მიღება განხორციელდა აქტიური რეზერვის ორ ნაწილში ტერიტორიულ რეზერვსა და სპეციალისტთა რეზერვში. ტერიტორიულ რეზერვში მიღებულ იქნა 328 რეზერვისტი, ხოლო სპეციალისტთა რეზერვში რვა.

ტერიტორიული რეზერვის ქვედანაყოფები განახორციელებენ შეიარაღებული ძალების დამატებით საბრძოლო მხარდაჭერას, ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზების გზით. ის იქნება შეიარაღებული ძალების ერთიანი გვარდიის შემადგენლობაში და ორგანიზებული იქნება ტერიტორიული თავდაცვის ქვედანაყოფებში. მათი მომზადება განხორციელდება ეროვნული გვარდიის მიერ.

ახალი რეზერვის საპილოტე პროექტის ტერიტორიული რეზერვის ნაწილი განხორციელდა საქართველოს სამ რეგიონში: გურია, აჭარა და კახეთი. გურიასა და აჭარაში ჩამოყალიბდა ერთი გაძლიერებული ასეული, ხოლო ასეთივე ასეული ჩამოყალიბდა კახეთში.

აღსანიშნავია, რომ ახალი რეზერვის საპილოტე პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი სტუდენტებზე გაკეთდა. 328 მიღებული რეზერვისტიდან 100-მდე სწორედ სტუდენტია. სტუდენტების მოტივაციის ამაღლების მიზნით, მათ ერთი კონტრაქტის ვადის შემდეგ სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლებათ.

რაც შეეხება სპეციალისტების რეზერვს, აქ კიბერ გამოწვევებისათვის, კომპიუტერული მეცნიერებების განხრით, პროფესიონალი კადრების მიღება განხორციელდა. სპეციალისტების რეზერვი სწორედ ის უნიკალური შესაძლებლობაა, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას საკუთარი პროფესიით ემსახუროს.

მნიშვნელოვანია, რომ რეზერვის ახალი სისტემა იქნება ეფექტური მექანიზმი მდგრადი თავდაცვის სისტემის მშენებლობისათვის. აქტიური რეზერვისტი გადის სამხედრო სამსახურს და წვრთნებს წელიწადში 45 დღე 4-5 წლის განმავლობაში, მისთვის გამოყოფილ კონკრეტულ პოზიციაზე, ხოლო მის გამოძახებას უზრუნველყოფს შესაბამისი სამხედრო ქვედანაყოფი, რომელშიც ირიცხება იგი. აღნიშნული სისტემა საშუალებას იძლევა უსწრაფესად მოხდეს უკვე მომზადებული ადამიანების მობილიზაცია, შეიარაღებულმა ძალებმა მიიღოს კვალიფიციური შევსება, რაც მნიშვნელოვნად გაადვილებს საფრთხეებზე რეაგირებას.

შეიარაღების სისტემების შესყიდვების სტრატეგია, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გრძელვადიანი დაგეგმვის სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს

თავდაცვის სამინიტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გრძელვადიანი დაგეგმვის სისტემის განვითარებას, რომელიც ძალთა და საბრძოლო შესაძლებლობების სტაბილურ განვითარებას ემსახურება. ამ პროცესის ორგანული ნაწილია შესყიდვების სფეროს გრძელვადიანი დაგეგმვის ორგანიზება და როგორც ინსტიტუციური ასევე პროცედურული ნაწილის დახვეწა. გარდა ამისა აშშ-სთან ერთად ინიცირებული საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) განხორციელება პირდაპირ აყენებს დღის წესრიგში შესყიდვების სტრატეგიის არსებობას და მასზე მორგებული პროექტების განხორციელებას. სტრატეგია განსაზღვრავს გრძელვადიანი შეიარაღების სისტემების შესყიდვების ძირითად მიმართულებებს. დოკუმენტი მოიცავს თავდაცვის შესაძლებლობების ძირითად მიმართულებებს 2019-2025 წლების თავდაცვის მოდერნიზაციის პროცესში. აღნიშნული მიმართულებები თანხვედრაშია „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020“ დოკუმენტით განსაზღვრულ შეიარაღების შესყიდვების პრიორიტეტებთან. ასევე, არსებული რეალობიდან გამომდინარე, დამატებით გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რომლებიც გათვალისწინებული იქნება შეიარაღების სისტემების შესყიდვების პრიორიტეტების შემუშავების პროცესში.

დოკუმენტში წარმოდგენილია გასული წლების შეიარაღების სისტემების შესყიდვების ბიუჯეტის ანალიზი შეიარაღების სისტემების შეძენაზე დახარჯული თანხების გათვალისწინებით. ანალიზის საფუძველზე ხდება დაგეგმვისთვის საჭირო ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრა.

შეიარაღების სისტემების შესყიდვების სტრატეგია ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გრძელვადიანი დაგეგმვის სისტემის განვითარებას. თანამედროვე თავდაცვის სისტემების შესყიდვას მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი სჭირდება. შესაბამისად, შეზღუდული რესურსების პირობებში მნიშვნელოვანია შეიარაღებული ძალების თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებით შესყიდვის გეგმის გათვლა მოხდეს მრავალწლიან პერიოდზე.

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე 2019 წელს შემუშავდება „გრძელვადიანი შეიარაღების სისტემების შესყიდვების განხორციელების გეგმა“, სადაც დეტალურად მოხდება 2020-2025 წლებში შესაძენი თავდაცვის სისტემების გაწერა.

მშვიდობის უზრუნველყოფაში საკუთარი წვლილის შეტანა, საქართველოსთვის უდიდესი პრესტიჟია - ვიცე-პოლკოვნიკი კახაბერ ხარშილაძე

ერაყის შემდეგ, ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში, კერძოდ, მალის რესპუბლიკაში შერჩეულ კანდიდატად დასახელება, ვიცე-პოლკოვნიკ კახაბერ ხარშილაძესთვის სასიამოვნო სიახლე იყო. ახალი გამოწვევა, მუშაობის განსხვავებული სპეციფიკა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის საკუთარი წვლილის შეტანა, საქართველოს სახელით, ვიცე-პოლკოვნიკის თქმით - უდიდესი პასუხისმგებლობაა.

„2017 წლის ნოემბერში, მალის რესპუბლიკაში, დედაქალ ბამოკოში ექვს თვიანი მისიით გავემგზავრე. ერაყის მისიისგან განსხვავებით, იქ სრულიად სხვა გამოცდილება შევიძინე. ქალაქ ბამოკოში განლაგებულია მთავარი შტაბი, სადაც საერთაშორისო სამშვიდობო მისიების მართვისა და შესრულების კონტროლი ხორციელდება. ჩვენი მთავარი ამოცანა, მალის რესპუბლიკის ჯარისკაცების მომზადება იყო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის მისიაში მჭირდო თანამშრომლობაა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთო გადაწყვეტილებების საფუძველზე დასახული მიზნების შესრულება ხდება“.

ვიცე-პოლკოვნიკი მთავარ აქცენტს მალის მოსახლეობისა და სამშვიდობო მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების ურთიერთდამოკიდებულებაზე აკეთებს. კახაბერ ხარშილაძის თქმით, საამაყოა, რომ სამოქალაქო პირებისთვის, სამხედროსთან შეხვედრა, მათთან საუბარი, უსაფრთხოებასთან და დაცულობასთან ასოცირდება. „როდესაც მისიის ფარგლებში ქალაქში გავდიოდით და მოსახლეობას ვხვდებოდით, მათგან დიდ სითბოსა და დადებით ემოციას ვგრძნობდით. გარკვეულწილად მათთვის, უსაფრთხოების გარანტი ვიყავით. ერაყში თუ სამხედრო ოპერაციებში ვმონაწილეობდი, აქ სამოქალაქო მშვიდობას უზრუნველვყოფდით ყოველდღიურად. გაერთიანებული ერების მისიაში, ეწყობოდა გაფართოებული თათბირები, სადაც საკუთარი თვალით ვხედავდი, რა სტანდარტებით ხელმძღვანელობენ ევროკავშირის ქვეყნები და ვფიქრობ, ამ გამოცდილების საქართველოს შეიარაღებულ ძალებისთვის გაზიარება, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანად წინ გადადგმული ნაბიჯია“.

ევროკავშირის მისიაში ყოფნის დროს, ყველაზე საამაყო წუთები კახაბერ ხარშილაძისთვის მაშინ დადგა, როდესაც 27 ქვეყანას შორის საკუთარი ქვეყნის დროშა დაინახა. ვიცე-პოლკოვნიკი ამბობს, რომ არ ყოფილა მომენტი, როცა უცხო ქვეყანაში თავი ან მარტოდ ეგრძნო, ან მიტოვებულად. პირიქით, ყოველწამიერად გრძნობდა და მადლიერია საქართველოს შეიარაღებული ძალების უპირობო მხარდაჭერით - „არცერთ მნიშვნელოვან თარიღს არ ჩაუვლია მინისტრის, მისი მოადგილეების მხრიდან ყურადღების გარეშე. ძალიან ამაღელვებელი იყო, როდესაც მითხრეს, რომ სკაიპით მინისტრი ჩაგვერთვებოდა და ახალ წელს მოგვილოცავდა. კიდევ ერთხელ ავივსე სიამაყით, როდესაც მინისტრმა სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის მადლობა გადამიხადა და გამამხნევა. მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფაში საკუთარი წვლილის შეტანა, საქართველოსთვის უდიდესი პრესტიჟია. ეს მისია გრძელდება და ახლა შეიარაღებული ძალებიდან სხვა სამხედრო გაემგზავრა. დღეს ახალი ოცნება მაქვს და ეს ოცნება, ამჯერად, ავღანეთის მისიაში მოხვედრაა. დიდი სურვილი მაქვს ავღანეთში ქართველ სამხედროებს მეც შევუერთდე და კიდევ ახალი, განსხვავებული გამოცდილება მივიღო, ჩემი სიტყვა ვთქვა ჩვენი ქვეყნის სახელით და ყოველი მომდევნო დღით ვიყო ამაყი. საერთო მშვიდობისათვის და სტაბილურობისთვის ქართველი სამხედროები, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეების მსგავსად, არ ვიშურებთ ძალისხმევასა და ენერგიას “.

კიდევ ერთი ოქროს მედალი ქართველი სამხედროების ანგარიშზე
ძლიერთა თამაშები - სიდნეი, 2018

დაჭრილი და დაშავებული სამხედროებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები მჯდომარე ფრენბურთში მსოფლიოს ჩემპიონი მეორედ გახდა. საქართველოს ნაკრებმა დამაჯერებელი გამარჯვება ავსტრალიაში, ქალაქ სიდნეიში მიმდინარე „ძლიერთა თამაშებში“ გაერთიანებული სამეფოს ნაკრების წინააღმდეგ ასპარეზობისას მოიპოვა. ქართველმა სამხედროებმა დიდი ბრიტანეთის ნაკრები ფინალში 2:0 დაამარცხა და ოქროს მედალოსანი გახდა.

მჯდომარე ფრენბურთში ქართველი სამხედროების ფინალურ თამაშს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია, მოადგილეებთან ერთად, საქართველოდან გულშემატკივრობდნენ. მატჩის დასრულებისთანავე, მათ ქართველ სამხედროებს გამარჯვება სატელეფონო საუბრის საშუალებით მიულოცეს და საქართველოს სახელის ღირსეულად წარმოჩენისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადეს.

ფინალში გასვლამდე ქართველ სამხედროებს მჯდომარე ფრენბურთში რუმინეთის, გერმანიისა და ესტონეთის ნაკრებების წინააღმდეგ მოუწიათ თამაში, გამარჯვებების შედეგად კი, ფინალურ შეხვედრაში გაერთიანებული სამეფოს ნაკრებს შეხვდნენ.

„ძლიერთა თამაშებში“ საქართველოს ნაკრები უკვე მეოთხედ მონაწილეობს. ქართველი სამხედროები მჯდომარე ფრენბურთში კანადაში, ქალაქ ტორონტოში გამართულ „ძლიერთა თამაშებში“ გასულ წელსაც ჩემპიონები გახდნენ.

***

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილ-დაშავებულ სამხედროებზე ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. უწყება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისათვის არაერთ პროექტს ახორციელებს.

დაშავებული სამხედროების რეაბილიტაციისათვის სპორტი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა. „თავადაც ვერ წარმოვიდგენდი იმ მასშტაბს, რისი მოწმენიც გავხდით თამაშებზე. გაგაფრთხილეთ, ყოფილიყავით მზად კონკურენციისთვის, თუმცა არცერთი ჩვენგანი ელოდა, რომ ქართველების გუნდი, რომელსაც სამი წლის წინ მჯდომარე ფრენბურთში თამაშის გამოცდილება არც კი ჰქონდა, ოქროს მედალს მოიპოვებდა“, - ამ სიტყვებით მიმართა დიდი ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ „ძლიერთა თამაშები 2017“-ის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს. მაშინ კანადაში დაჭრილმა ქართველმა სამხედროებმა მჯდომარე ფრენბურთში ოქროს მედლები მოიპოვეს.

წელს სამხედრო მოსამსახურეებმა სიდნეიში გამართულ „ძლიერთა თამაშებში“ ფიზიკური შესაძლებლობები სპორტის შვიდ სახეობაში გამოცადეს და მჯდომარე ფრენბურთში ოქროს მედლები მეორედ მოიპოვეს. დაშავებულმა სამხედროებმა საქართველოს სახელმწიფო დროშა ქვეყნის მასშტაბით და საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებზე არაერთხელ აღმართეს. ისინი სამაგალითონი არიან არა მარტო მომავალი თაობისთვის, არამედ თანამებრძოლებისთვისაც. როგორც თავად ამბობენ, ყველაზე მეტად, ტრავმის მიუხედავად, სულიერი და ფიზიკური ტკივილის შემდეგ, ფეხზე დადგომა და საკუთარი ქვეყნის დროშის აღმართვა ეამაყებათ.

თავდაცვის სამინისტროში რამდენიმე წელია ფუნქციონირებს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი, რომელიც დაშავებული სამხედროების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციისათვის სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. თავდაცვის სამინისტრო თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან სამედიცინო ორგანიზაციებთან. მათ შორისაა აშშ-ის PITER HARSH-ის კლინიკა, სადაც ამპუტირებული სამხედროების რეპროოთეზირება უახლესი ტექნოლოგიის პროთეზებით ხდება. დაჭრილი სამხედროებისთვის მუდმივად ხდება ეტლების შეძენა და განახლება.

დაშავებული სამხედროებისა და მათი ოჯახების წევრების ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის შესაბამისი პირობები და ინფრასტრუქტურაა შექმნილი.

დაჭრილ ჯარისკაცებსა და მათი ოჯახის წევრებს წეროვანის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო ცენტრი საუკეთესო პირობებს სთავაზობს. ცენტრში დღემდე რეაბილიტაცია 595 დაჭრილმა სამხედრომ და 383 თანმხლებმა პირმა გაიარა. უწყება აშშ-ს დახმარებით ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნავს - შენდება ახალი მრავალპროფილური სარეაბილიტაციო ცენტრი. წეროვანის ახალი სარეაბილიტაციო ცენტრის აღჭურვისათვის 2019 წლისთვის 1 800 000 ლარია გათვალისწინებული.

ვიცე-პოლკოვნიკი ალუდა სეთურიძე ცენტრის ხშირი სტუმარია. მისი განცხადებით, ეს ადგილი მსგავს მდგომარეობაში მყოფი ჯარისკაცების რეაბილიტაციისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. „აქ უმაღლეს დონეზე მომზადებული მედპერსონალი საუკეთესო მომსახურებას გვთავაზობს. სპორტულ დარბაზში ვარჯიშის შესაძლებლობაც გვაქვს და სხვადასხვა აქტივობაში ვართ ჩართული. ჩვენთან ფსიქოლოგებიც მუშაობენ. ახლახან ახალი მშენებლობა წამოიწყეს, რომელიც გრანდიოზული პროექტია და ერთ წელში უნდა დასრულდეს. ვფიქრობთ, რომ ახალი ინფრასტრუქტურა გაჯანსაღების მხრივ უფრო მეტ შესაძლებლობას მოგვცემს“, - ამბობს ვიცე-პოლკოვნიკი.

დაშავებული სამხედროებისათვის გიორგი აბრამიშვილის სახელობის გორის სამხედრო ჰოსპიტალში შექმნილია სამედიცინო პირობები; სამხედროები სათანადო სოციალური პაკეტითაც სარგებლობენ.

უწყება ზრუნავს დაჭრილი სამხედროების რეინტეგრაციაზე - ისინი შეიარაღებულ ძალებში საშტაბო საქმიანობას ეწევიან და გამოცდილებას მომავალ თაობებს უზიარებენ. „ან კარჩაკეტილი, ან აქტიური ცხოვრება უნდა ამერჩია. დავძლიე საკუთარი თავი და დავუბრუნდი შეიარაღებულ ძალებს. ახლა კიბერუსაფრთხოების ბიუროში ვმუშაობ. დღეს ქვეყნის ინფორმაციულ უსაფრთხოებას ვიცავ“, - აღნიშნავს პირველი კლასის რიგითი გუგა ჩიმახიძე.

თავდაცვის სამინისტრო დაშავებული სამხედროების ოჯახის წევრების დასაქმების კუთხით კერძო კომპანიებთანაც თანამშრომლობს.

მძიმედ დაჭრილი ყველა სამხედრო ბინებით უზრუნველყოფილია. თბილისში ე.წ. სამხედრო ქალაქის ბინადარია მაიორი მურთაზ ოსეფაიშვილი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სამხედროების მხარდაჭერასა და მათი წვლილის დაფასებაზე საუბრობს. თავდაცვის სამინისტრომ საცხოვრებელი ბინა 129 დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეს გადასცა. საცხოვრებლით უზრუნველყოფა რეგიონული პრინციპითაც მოხდა, მაგალითად, ვიცე-პოლკოვნიკმა ალუდა სეთურიძემ ბინა ახალციხეში მიიღო.

უწყების მიერ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალში, ალბათ, ბევრი ვერ მოხვდა... ისევე, როგორც ადამიანური ხელისგაწვდენის, სიტყვის შეწევნის ისტორიები, რომელზეც საუბარი ხშირად უადგილოდ მიგვაჩნია. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყნის, თითოეული ჩვენგანის დაცვის სადარაჯოზე მყოფი ჯარისკაცი სამხედრო ტრავმის მიღების შემდეგ „დავიბრუნოთ“ და სახელმწიფოს, საზოგადოების მხარდაჭერა ვაგრძნობინოთ, რადგან ჩვენს გვერდით ჩვენი დროის გმირები არიან!

„დიდგორი მეომარი“- ახალი ქართული მრავალფუნქციური ჯავშანმანქანა

ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები:

სიგრძე - 5640 სმ	ეკიპაჟი - 3 კაცი
სიგანე - 2350 მმ	დესანტი - 2 კაცი
სიმაღლე - 2230 მმ	შეიარაღება - დისტანციური
საბრძოლო მასა - 7000 კგ	მოდული 7,62 ან 12,7 მმ
ძრავის სიმძლავრე - 356 ცხ/ძალა	ტყვიამფრქვევით, 40 მმ
გადაცემათა კოლოფი - ავტომატური	ავტომატური ყუმბარმტყორცნით ან
სავალი ნაწილის ფორმულა - 4X4	23 მმ ავტომატური ქვემეხით.
მაქსიმალური სიჩქარე - 120 კმ/სთ	ჯავშანი - EN1063 BR7+ დონე
სვლის მარაგი - 500 კმ	

„დიდგორი მეომარი“ - ასე ეწოდება უახლეს ქართულ ჯავშანმანქანას, რომლის პირველი პროტოტიპიც სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა „დელტამ“ ფართო საზოგადოებას 2018 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, სხვა უკვე კარგად ნაცნობ, ქართული წარმოების სამხედრო ტექნიკასთან ერთად წარუდგინა.

„მეომარი“ დიდგორის ტიპის ჯავშანმანქანების ოჯახის მორიგი მოდიფიკაციაა, თუმცა ის სრულიად ახალი კონცეფციის მიხედვით არის შექმნილი და განსხვავებული ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები გააჩნია. მისი უნიკალურობა ჯავშანდაცულობის, ერგონომიულობისა და სავალი მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაში გამოიხატება.

ჯავშანმანქანის პროტოტიპის დაპროექტებისას ქართველი ინჟინრების მიერ გათვალისწინებულია, ის დიდი გამოცდილება, რაც „დიდგორის“ სამედიცინო საევაკუაციო მოდიფიკაციის DIDGORI MedEvac-ის საექსპორტო ვერსიის საბრძოლო პირობებში რამდენიმე წლიანი ექსპლუატაციის შედეგად დაგროვდა. ასევე ჩადებულია თანამედროვე კონცეპტუალური გადაწყვეტები და მთელი რიგი ტექნოლოგიური სიახლეები, რომელიც დღესდღეობით მსოფლიო სამხედრო ინდუსტრიაში არსებობს. ინდუსტრიაში, რომელშიც მიმართულებებსა და ტენდენციებს მათ წინაშე მდგარი ამოცანებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების შეიარაღებული ძალების სამხედრო ტექნიკის კვლევითი ინსტიტუტები განსაზღვრავენ. საიარაღო ბაზარზე პოტენციური შემსყიდველის გემოვნებაც სწორედ მათი გავლენით ყალიბდება.

ბოლო პერიოდში, თანამედროვე ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში, განსაკუთრებული ყურადღება სამხედრო ბორბლებიანი თუ მუხლუხოიანი ტექნიკის უნიფიკაციას ექცევა. ეს, თავის მხრივ, ჯარების სხვადასხვაგვარობებში განსხვავებული დანიშნულების, თუმცა ერთი სავალი ნაწილის მქონე ტექნიკის არსებობას უზრუნველყოფს, რაც ამარტივებს როგორც მათ ტექნიკურ ექსპლუატაციასა და რემონტს, ისე მნიშვნელოვნად ამცირებს ტექნიკის შენახვაზე გაწეულ ხარჯებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ის შეიარაღებული ძალები, სადაც ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან შეიარაღებაში არსებული რამდენიმე ასეული ათასი HMMWV-ის ტიპის (High Mobility Multipurpose Wheeled Vehicle ასევე ცნობილი როგორც Humvee) მულტიფუნქციური პლატფორმა ეტაპობრივად იცვლება, კომპანია Oshkosh-ის წარმოების თანამედროვე ტენდენციებზე მორგებული უახლესი ჯავშანმანქანა JLTV-ით (Joint Light Tactical Vehicle). ასევე ხდება ჩეხეთის შეიარაღებული ძალების პერსპექტიული ჯავშანმანქანა T815 Patriot MATM-MV-ისა და ფრანგული შჰერპა იგჰტ სცოუტ-ის შემთხვევაშიც.

სწორედ ზემოსხენებული მიდგომებისა და ტენდენციების გათვალისწინებით, დაპროექტებული და დამზადებული „დიდგორი მეომარი“ ჯარების სხვადასხვაგვარობისთვის განკუთვნილი განსხვავებული ტიპის, დანიშნულებისა და კონფიგურაციის მანქანის, უნივერსალურ მოდულურ ჯავშანპლატფორმას წარმოადგენს. მათ შორისაა საარტილერიო ცეცხლით მხარდაჭერის მანქანა 81, 82 ან 120 მმ ნაღმმტყორცნის მოდულით, სადაზვერვო მანქანა ოპტიკური და რადიოლოკაციური დაზვერვის საშუალებებით, ტანკებზე მონადირე მანქანა სხვადასხვა ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების მოდულით, საჰაერო თავდაცვის მობილური სისტემა, სითბური ან ლაზერული დამიზნების ახლო მანძილზე მოქმედი საზენიტო რაკეტებით, რადიოქიმიური დაზვერვის, საპატრულო, სპეცდანიშნულების მანქანა და სხვა.

„მეომარის“ კონსტრუქცია სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება, ესენია უნიფიცირებული სავალი ნაწილი, ჯავშანკაფსულა რომელშიც 5 კაცი თავსდება და უკანა მოდულური ნაკვეთური, სადაც სხვადასხვა ტიპის შეიარაღების ან სადაზვერვო დანიშნულების მოდული მონტაჟდება. მანქანის უკანა ნაწილში შესაძლებელია განსხვავებული მოდიფიკაციის მიხედვით სადესანტო ნაკვეთური ან სატვირთო ძარა დამონტაჟდეს.

მანქანის ჯავშანკაფსულა ჯავშანდაცულობის მაღალი მაჩვენებლით

გამოირჩევა და შეესაბამება საერთაშორისო EN1063 სტანდარტის BR7+ დონეს, რაც რამდენიმე მეტრიდან ნასროლი 7,62 მმ კალიბრის ჯავშანგამტანი ტყვიების შეკავებას ითვალისწინებს. შეჯავშნისას გამოყენებულია ორმაგი დაჯავშნის პრინციპი, კორპუსის ძირითად ჯავშანზე სპეციალური სამაგრი წერტილებით მიმაგრებულია მოდულური სწრაფად შეცვლადი ჯავშანეკრანები რომელიც, ტყვიის მოხვედრის შემთხვევაში, ძირითადი ჯავშნის დაზიანების შესაძლებლობას მაქსიმალურად ამცირებს. გათვალისწინებულია ასევე, მანქანაზე ანტიკუმლაციური ბადეების დამონტაჟების შესაძლებლობაც, რომელიც მანქანას უკვე ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნიდან ნასროლი კუმულაციური, გასროლებისგანაც დაიცავს. ჯავშანკაფსულის ნაღმსაწინააღმდეგო დაცულობა, ფსკერის სპეციალური შეჯავშნით მიიღწევა და გათვლილია სხვადასხვა ტიპის და სიმძლავრის ნაღმების თუ იმპროვიზებული ფეთქებადი ნაკეთობების აფეთქების სიმძლავრის შეკავებაზე, რომელიც რამდენიმე კილოგრამი ტროტილის აფეთქების სიმძლავრის ეკვივალენტია.

ჯავშანკაფსულაში ეკიპაჟის 5 წევრი თავსდება, აქედან, ორი მანქანის მეთაური და მძღოლ - მექანიკოსია. მანქანის მოდიფიკაციიდან გამომდინარე შესაძლებელია მასში მოთავსდეს სამკაციანი დესანტი ან სხვადასხვა მძიმე შეიარაღების ოპერატორი. ერგონომიულობის გაზრდის მიზნით, პირველი მოდიფიკაციებისგან განსხვავებით, „დიდგორი მეომარს“ ოთხი გვერდითი კარი აქვს, რაც ეკიპაჟის და საბრძოლო გათვლის სწრაფად ასვლა ჩამოსვლას უზრუნველყოფს. შეჯავშნულ კაფსულაში დატანებული წინა და გვერდითა ჯავშანშუშები მაქსიმალურად დიდი სექტორის ვიზუალური კონტროლის საშუალებას იძლევა. ღამით გადაადგილების უზრუნველსაყოფად მანქანა აღჭურვილია სითბური ხედვის კამერით, რომლიდან მიღებული გამოსახულება მძღოლ მექანიკოსის და მეთაურის სამუშაო ადგილებთან არსებულ მონიტორზე გამოდის.

მანქანის მოდერნიზებული სავალი ნაწილი სხვადასხვა ტიპის რელიეფზე მაქსიმალურად არის ადაპტირებული, სპეციალური სამხედრო სტანდარტის საბურავები უდაბნოს, ჭაობიან, ტალახიან და კლდოვან რელიეფზე შეუფერხებლად გადაადგილების საშუალებას იძლევა, რაც მაღალი ინტენსივობის მქონე საბრძოლო მოქმედებების დროს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სწორი კონსტრუქციული გადაწყვეტების წყალობით კი, მანქანას უკიდურესად მაღალი წინა და გვერდულა დახრილობის მქონე რელიეფზე გაჩერების და გადაადგილების საშუალებაც ეძლევა.

პროპაგანდისტული ნარატივი რუსული ბაზრის უალტერნატივობის შესახებ

რუსულ პროპაგანდისტულ მითებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეულია მითი იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკონომიკური გადარჩენის გზა რუსეთზე გადის. რუსული ბაზრის უპირატესობის ჩვენება ძირითადად რამდენიმე დებულებაში იშლება:

- ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების რეალური გზა მხოლოდ რუსული ბიზნესია და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შედეგი ნულოვანია;
- რუსული ბაზარი ნიშნავს საქართველოს ეკონომიკურ კეთილდღეობას და უმუშევრობის პრობლემის დაძლევას;
- ევროკავშირის რეგულაციები გამოიწვევს ქართული ბიზნესის განადგურებას;

აქედან კი გამოყვანილია დებულება, რომ ევრაზიულ კავშირში შესვლა საქართველოსთვის უფრო მეტად მომგებიანია, ვიდრე ევროკავშირში.

ესტონეთი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (PPP) $31,800 (2017)	რუსეთი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (PPP) $27,800 (2017)
ესტონეთი საბიუჯეტო შემოსავლები: 1,251,581 (2017) ადამიანზე - $9.772 მილიარდი ; ერთ ადამიანზე - 7807 დოლარი	რუსეთი საბიუჯეტო შემოსავლები: 142,257,519 (2017)ადამიანზე - $253.9 მილიარდი; ერთ ადამიანზე - 1784 დოლარი
ესტონეთში საშუალო პენსია: დაახლოებით 450 ევრო (2018)	რუსეთში საშუალო პენსია: დაახლოებით 187 ევრო (2018)
ესტონეთში საშუალო ხელფასი: 1242 ევრო (2018)	რუსეთში საშუალო ხელფასი: დაახლოებით 560 ევრო (2018)

აღნიშნული მსჯელობის აბსურდულობა ძალიან ბევრი ხერხით შეიძლება იქნას ნაჩვენები. სტატიაში ავირჩევთ ყველაზე პატარა სახელმწიფო ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან, რომელიც გახდა ევროკავშირისა და ნატოს წევრი. ჩვენ შევადარებთ ამ ქვეყნების რესურსებს და ამ უზარმაზარი განსხვავების პარალელურად ვაჩვენებთ მათ ეკონომიკურ მაჩვენებლებს ერთ სულ მოსახლეზე.

ესტონეთისა და რუსეთის ეკონომიკა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილები იყვნენ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ესტონეთმა ევრო-ატლანტიკური კურსი აირჩია, ხოლო 2004 წელს კი ესტონეთი ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფო გახდა.

დღევანდელი მონაცემებით ესტონეთისა და რუსეთის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები ასე გამოიყურება:[1]

ესტონეთი ნედლი ნავთობის წარმოება: 0 ბარელი დღეში (2016)	რუსეთი ნედლი ნავთობის წარმოება: 10.55 მილიონი ბარელი დღეში (2016) პირველი ადგილი მსოფლიოში;
ესტონეთის ნედლი ნავთობის რეზერვები: 0 ბარელი (2015)	რუსეთის ნედლი ნავთობის რეზერვები: 80 მილიარდი ბარელი (2017) მე-8 ადგილი მსოფლიოში
ესტონეთის ნედლი ნავთობის ექსპორტი: 0 ბარელი დღეში (2016)	რუსეთის ნედლი ნავთობის ექსპორტი: 5.116 მილიონი ბარელი დღეში (2016) მეორე ადგილი მსოფლიოში;
ესტონეთის ბუნებრივი აირის წარმოება: 0 (2015)	რუსეთის ბუნებრივი აირის წარმოება: 598.6 მილიარდი (2015), 2 ადგილი მსოფლიოში;
ესტონეთის ბუნებრივი აირის ექსპორტი: 0 m^2 (2015)	რუსეთის ბუნებრივი აირის ექსპორტი: 197.7 მილიარდი m^2 (2015), პირველი ადგილი მსოფლიოში;

ესტონეთის საგარეო ვაჭრობაში რუსეთის წილი მცირეა: ესტონეთის ექსპორტი რუსეთში სულ 7.3% (2017), ხოლო იმპორტი რუსეთიდან კი 6.7%(2017).[3]

ესტონეთის ეკონომიკა ძალიან ბევრ ეტაპზე უკეთესია, ვიდრე რუსული, ხოლო ესტონელი ხალხი უკეთ ცხოვრობს, ვიდრე რუსი ხალხი.

ცხადია, აღნიშნული არგუმენტაცია არ მიუთითებს იმას, რომ რუსული ბაზარი ცუდია. ყველა ბაზარი არის მნიშვნელოვანი, მათ შორის რუსეთის ბაზარიც, თუმცა რუსული ბაზრის უალტერნატივოდ გამოცხადება და მით უფრო ევროკავშირთან ევრაზიული კავშირის უპირატესობის მტკიცება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ამიტომ აღნიშნული მტკიცებები მხოლოდ პროპაგანდისტული მითებია, რომელსაც რუსული და პრორუსული პროპაგანდა აქტიურად ავრცელებს. საუკეთესო გზა არ გავხდეთ აღნიშნული პროპაგანდის მსხვერპლი, სწორედ მათი მეთოდებისა და დამახინჯებული ფაქტების ნაცვლად, რეალური ინფორმაციის ცოდნაა.

ყურადღებას არ ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ევრაზიული კავშირი თავისი სავაჭრო წესებით რეალურად ყველა მისი წევრის რუსული ეკონომიკის დანამატად ქცევას ცდილობს. ჩვენ არც რუსეთსა და ევროპის უმდიდრეს სახელმწიფოებს შევადარებთ, რადგან საბჭოთა ნოსტალგიით განმსჭვალული ადამიანებისთვისაც კი, საბჭოთა კავშირის საკვანძო სახელმწიფო რუსეთის შედარება ევ-

[1]მონაცემები აღებულია https://www.cia.gov/index.html, ასევე რუსეთისა და ესტონეთის სტატისტიკის სამსახურების ოფიციალური გვერდებიდან. რუსეთის სტატისტიკის სამსახურის გვერდიდან აღებული ინფორმაცია გადაყვანილია დოლარში ან ევროში.

[2]მონაცემები აღებულია https://www.cia.gov/index.html

[3]მონაცემები აღებულია https://www.cia.gov/index.html

ლევან იზორიამ ვეტერანებს ვეტერანის დღე მიულოცა

17 ოქტომბერს საქართველოში ვეტერანის დღე აღინიშნა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ომგადახდილ მებრძოლებს 17 ოქტომბერი მიულოცეს, სამშობლოს სამსახურისთვის მადლობა გადაუხადეს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ვეტერანთა საოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების გზებზე იმსჯელეს. „ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა. მინდა, როგორც ჩემი, ასევე ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან უდიდესი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო თითოეული თქვენგანის მიმართ. ჩვენი ხელისუფლების პირობებში, მთავრობისა და, უშუალოდ თავდაცვის უწყების პოლიტიკა, ვეტერანებთან მიმართებაში, სწორედ, ჩვენ წინაშე არსებული ვალდებულებისა და მადლიერების გამოხატულებაა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქედი მოვიხარო დაღუპული გმირების წინაშე. ჩვენს განვითარებას ვხედავთ იმ საფუძველში, რომელსაც თავდადებით, სიმტკიცითა და მხედრული ტრადიციების გაგრძელებით, თქვენ ჩაუყარეთ სათავე, როდესაც ქართულ შეიარაღებულ ძალებს ქმნიდით“, - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში გამართულ ღონისძიებაზე. ლევან იზორიამ ვეტერანებთან რეზერვის ახალ კონცეფციაზეც ისაუბრა და განმარტა, რომ აღნიშნულ პროექტში ვეტერანების როლი გადამწყვეტია. „ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი კომპონენტი გახლავთ რეზერვის ახალი კონცეფცია, რომელიც ვეტერანების აქტიური ჩართულობით შემუშავდა. 19 ოქტომბერს გვექნება შესაძლებლობა დავიწყოთ რეზერვის ახალი პროექტი, სადაც ვეტერანების როლი გადამწყვეტია. თქვენმა ჩართულობამ და აქტიურობამ მოგვცა პირველი წარმატებები, რაც რეზერვში გაწევრიანების მაღალი ინტერესით გამოიხატება. სწორედ ერთობლივ ძალისხმევაზე იქნება დამოკიდებული ამ პროექტის წარმატება“, - განაცხადა ლევან იზორიამ.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში გამართულ ღონისძიებაზე თავდაცვის მინისტრთან ერთად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი შალვა ჯაბახიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ვიცე-პრემიერი მაია ცქიტიშვილი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კობა კობალაძე, გენერალი გია ყარყარაშვილი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

საქართველოში ვეტერანის დღე 2014 წლიდან აღინიშნება. 1995 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“, რაც შემდგომში ვეტერანის დღის დაწესების საფუძველი გახდა.

IV მექანიზებული ბრიგადის იუბილე ვაზიანში

საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებული ბრიგადის დაარსების დღე ვაზიანის სამხედრო ბაზაზე აღინიშნა. სამხედრო მოსამსახურეებს იუბილე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა შალვა ჯაბახიძემ მიულოცეს.

მინისტრმა სიტყვით მიმართვისას პირად შემადგენლობას იუბილე მიულოცა, სამხედრო სამსახურის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა და შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმები შეაჯამა. ლევან იზორიამ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საქმეში ერთობლივი სამხედრო სწავლებების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. „ყველაფერი, რასაც ჩვენ ქართულ შეიარაღებულ ძალებში თქვენთან ერთად ვაკეთებთ, ემსახურება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას და ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას. ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს უდიდესი პროგრესი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლავთ, ნატო-საქართველოს ერთობლივი სწავლება, რომელიც ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ჩატარდება. ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე. ნატოს უმრავლესმა წევრმა ქვეყნებმა გამოხატეს მზადყოფნა, რომ აქტიურად მიიღონ თქვენთან ერთად მონაწილეობა ამ სწავლებებში“ .- განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მან სამხედრო მოსამსახურეების სოციალური პირობების გაუმჯობესებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში (GDRP) მონაწილე ბატალიონების სამხედრო მოსამსახურეებს ხელფასები ეტაპობრივად ეზრდებათ, ხოლო მომდევნო წლებში გაუმჯობესდება სხვა ქვედანაყოფების სახელფასო უზრუნველყოფაც.

„ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თითოეული ბატალიონი, რომელიც გაივლის სწავლებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, განახლებულ სახელფასო უზრუნველყოფას მიიღებს. მხოლოდ წელს ამისთვის 2 მილიონი ლარის მობილიზება მოხდა. სწორედ 43-ე ბატალიონის რიგითებმა, კაპრალებმა, ოფიცრებმა მიიღეს ახალი ანაზღაურება, რომელიც 100-დან 400 ლარის ფარგლებში მერყეობს. ჩვენ ამას გავაგრძელებთ შემდეგი წლების განმავლობაში და ამ პროგრამის ფარგლებში მოიცავს 5000 სამხედრო მოსამსახურეს, რისთვისაც 10 მილიონი ლარი იქნება მობილიზებული. სხვა დანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებიც, შემდგომი წლების განმავლობაში განახლებულ ხელფასებს მიიღებენ. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ჩვენი პოლიტიკის. ყველაფერს გავაკეთებთ, იმისთვის რომ თქვენი სოცლიალური პირობები და სამედიცინო უზრუნველყოფაც მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს“.- აღნიშნა ლევან იზორიამ.

მინისტრმა ასევე, ყურადღება გაამახვილა აშშ-დან მიღებულ ოფიციალურ წერილზე, სადაც აღნიშნულია, რომ ამერიკული ასეული ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მოემზადება: „ჩვენ მივიღეთ ოფიცილურად აშშ-დან წერილი, სადაც გამოითქვა მზადყოფნა, რომ 29 ოქტომბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით, პოლონეთში დისლოცირებული ელიტური ამერიკული ასეული ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მოემზადება. ეს დასტურია ჩვენი თანამშრომლობის დინამიკის გაფართოების, რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით ჩვენი თანამშრომლობის გაძლიერებისა“.

ღონისძიების ფარგლებში წარმატებული სამხედრო მოსამსახურეები უწყებრივი მედლებითა და საშტატო იარაღით დაჯილდოვდნენ. ცერემონიის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, მოწვეული სტუმრებისთვის ბრიგადის ტერიტორიაზე შეიარაღებისა და აღჭურვილობის გამოფენა მოეწყო, ჩატარდა სამხედრო მოსამსახურეებს შორის სპორტული შეჯიბრებაც. სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი თასი თავდაცვის მინისტრმა და საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის შვილმა გადასცეს.

თავდაცვის სამინისტროს პროექტი „ჩვენი ჯარი“ საჯარო სკოლებში გრძელდება

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად პროექტიც განახლდა. ამჯერად სამხედრო მოსამსახურეები ქალაქ გორის მესამე საჯარო სკოლაში იმყოფებოდნენ, სადაც მოსწავლეებს სიტყვით თავდაცვის მინისტრმაც მიმართა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამა მოსწავლეებში პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერებას ემსახურება. პროექტი საჯარო სკოლების მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. „ამ პროექტს სიმბოლურად ჰქვია „ჩვენი ჯარი“ ანუ ჯარი არის თქვენი. იმისთვის, რომ ის თქვენად გაითავისოთ სამხედრო მოსამსახურეებთან შეხვედრები მნიშვნელოვანია“, - ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ქალაქ გორის №3 საჯარო სკოლის უფროსკლასელებს.

ლევან იზორია, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნუკრი გელაშვილი და სამხედრო მოსამსახურეები გორში პროექტ „ჩვენი ჯარის“ ფარგლებში იმყოფებოდნენ. სამხედროების შეხვედრები საჯარო სკოლებში გაზაფხულზე დაიწყო და ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად განახლდა. მოსწავლეებთან შეხვედრისას თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ პროექტი ერთიანი პოლიტიკის ნაწილია, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საქმეში საზოგადოების მაქსიმალურ ინფორმირებულობასა და ჩართულობას გულისხმობს. ამ კონტექსტში მან სამხედრო ბრიგადებში ჩატარებულ „ღია კარის დღეებზე“, საზაფხულო ბანაკებსა და საშუალო განათლების პროგრამაში თავდაცვის კომპონენტის დამოუკიდებელი საგნის სახით შეტანის შესახებ ისაუბრა.

ლევან იზორიას განცხადებით, პროექტი მიზნად ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებასა და პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებას ისახავს. „ვფიქრობთ, სამხედრო მოსამსახურეებთან მოზარდების უშუალო კონტაქტით შესაძლებელი იქნება პატრიოტიზმის განმტკიცება და ცნობიერების ამაღლება იმ საკითხზე, თუ რას აკეთებს ქართული ჯარი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის, სტრატეგიული კავშირების გასაძლიერებლად, იმ მთავარი მიზნისთვის, რასაც ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა და მისი უსაფრთხოება ჰქვია“, - აღნიშნა ლევან იზორიამ.

მოგვიანებით, ღონისძიებაზე სამხედრო მოსამსახურეებმა შეიარაღებული ძალების შესახებ გაცნობითი ხასიათის პრეზენტაცია წარადგინეს. თავდაცვის უწყების წარმომადგენლებმა უფროსკლასელებს სამხედრო კარიერული განვითარების პერსპექტივებიც გააცნეს. მათ მოსწავლეებთან საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიის, მიზნებისა და ამოცანების, თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების, სავალდებულო და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის, რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფციის, შეიარაღებულ ძალებში განათლების შესაძლებლობების, ნატო-საქართველოს ურთიერთობების, საერთაშორისო მისიებსა და საერთაშორისო სწავლებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებაც ისაუბრეს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. პროექტს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს. „ჩვენი ჯარი“ წელს გაზაფხულზე დაიწყო; პირველ ეტაპზე სამხედროები დაახლოებით 185 სკოლას ესტუმრნენ, ოქტომბერსა და ნოემბერში თავდაცვის უწყების წარმომადგენლები საქართველოს მასშტაბით ყოველდღიურად დაახლოებით 400-მდე სკოლას ესტუმრებიან. „ჩვენი ჯარი“ საქართველოს მასშტაბით ხორციელდება და ქვეყნის რეგიონებს ეტაპობრივად მოიცავს.

ჯილდო ცოდნისთვის!

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მიმდინარე წლის 7 ნოემბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით, ონლაინ ტესტირების გზით, მისამართზე - testebi.mod.gov.ge, ატარებს კონკურსს სამხედრო ისტორიის საერთაშორისო ურთიერთობების, სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში. პროექტის მიზანია, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს სამხედრო ისტორიის პოპულარიზაცია, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

დაინტერესებულ ფიზიკურ პირებს კონკურსისთვის რეგისტრაცია და მასში მონაწილეობა თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართზე testebi.mod.gov.ge განთავსებული აპლიკაციის საშუალებით შეუძლიათ.

ტესტები 90 საკითხს მოიცავს და 5 კატეგორიად იყოფა: სამხედრო ისტორია - 20 საკითხი; საერთაშორისო თანამშრომლობა - 20 საკითხი; თანამედროვე გამოწვევები - 15 საკითხი; სამხედრო სამსახური - 20 საკითხი; დროშები, სამხრეები და ტაქტიკური ნიშნები - 15 საკითხი.

საუკეთესო ათი მონაწილისთვის თავდაცვის სამინისტროსგან ჯილდოდ განკუთვნილია „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“; გენერალ გიორგი მაზნიაშვილის „ჩემი მოგონებები“ და გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის „სამხედრო სკოლა“. ამასთან ერთად, მესამე საპრემიო ადგილზე გასული მონაწილე კომპანია „Time Georgia“-სგან ჯილდოდ Casio G-shock-ის საათს, მეორე საპრემიო ადგილზე გასული მონაწილე - სამხედრო ზურგჩანთას და მათარას, ხოლო პირველ საპრემიო ადგილზე გასული მონაწილე თავდაცვის სამინისტროსგან ჯილდოდ Lenovo-ს ნოუთბუქს მიიღებს.

საკონკურსო შედეგად ჩაითვლება მხოლოდ პირველი ცდით ტესტების ყველა კატეგორიაში მიღწეული ჯამური შედეგი. შედეგები გამოითვლება ტესტირებაში მიღებული სწორი პასუხების რაოდენობისა და ტესტების შესრულებაში დახარჯული დროის მიხედვით. ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირის მიერ ერთნაირი შედეგის მიღწევის შემთხვევაში, უპირატესობა მას მიენიჭება, ვინც უფრო ადრე დაიწყო ტესტების შესრულება. ტესტების შესრულების შეწყვეტის შემთხვევაში, აპლიკაციაში სარეგისტრაციო მონაცემების ხელახალი შეყვანით, კონკურსის ვადის ამოწურვამდე, თქვენ ნებისმიერ დროს შეძლებთ ტესტების შესრულების გაგრძელებას. საკითხზე პასუხის დაფიქსირების შემდეგ, მომდევნო საკითხზე გადასვლამდე დახარჯული დრო და ტესტების ერთი კატეგორიიდან სხვა კატეგორიაში გადასვლის დრო არ აისახება ტესტების შესრულების დროზე. ტესტების ყველა კატეგორიაში მოცემულ საკითხებზე პასუხების გაცემის შემდეგ, აპლიკაციაში იხილავთ ტესტების სრული შედეგის ბმულს, რომელიც პირველი ცდით შესრულებული ტესტების შედეგს ასახავს. თქვენ შეგიძლიათ როგორც ტესტების სრული შედეგის, ისე, ტესტების კატეგორიების მიხედვით მიღწეული შედეგების „ფეისბუქზე“ გაზიარება.

კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 7 ნოემბერიდან 28 დეკემბრის ჩათვლით. გამარჯვებულების სია 2019 წლის იანვარში თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდსა (mod.gov.ge) და თავდაცვის სამინისტროს „ფეისბუქის“ გვერდზე (facebook.com/mod.gov.ge) გამოქვეყნდება. გამარჯვებულთა დაჯილდოება ამავე თვეს, თავდაცვის სამინისტროში შედგება.

კონკურსის ორგანიზატორთა რჩევაა, კონკურსში მონაწილეობამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.mod.gov.ge) და საქართველოს სამხედრო ისტორიის პორტალზე (history.mod.gov.ge) განთავსებული ინფორმაციის გაცნობა, რომელიც კონკურსის მონაწილეებს წარმატებული შედეგის მიღწევაში დაეხმარებათ.

დამატებითი კითხვებისთვის მოგვწერეთ მისამართზე პრ მოდ.გოვ.გე, თავდაცვის სამინისტროს Facebook-ის გვერდზე ან მოგვმართეთ ტელეფონის ნომერზე: 2 91 04 21.

გაზეთის გავრცელების ხელშეწყობისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მადლობას უხდის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო